შპს „თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემიის“

მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერ მექანიზმს;

1.2 აღნიშნული მექანიზმის მიზანია, მოსწავლეთა საგანმანათლებლო, სოციალური, ემოციური, ქცევითი და სასწავლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი მუდმივი კეთილდღეობა;

1.3 აღნიშნული მექანიზმი ვრცელდება სკოლის ყველა მოსწავლეზე სასწავლო და სამუშაო პროცესში.

მუხლი 2.ძირითადი პრინციპები:

მოსწავლის ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმები ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ხელშეწყობა, მხარდაჭერა;

ბ) თანამშრომლობა;

გ) ინფორაციის ხელმისაწვდომობა (შიდა და გარე პროგრამებისა და პროექტების შესახებ);

მუხლი 3. მოსწავლის ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმები:

3.1 მოსწავლეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით ან/და ზეპირად გამოხატოს საკუთარი აზრი და გამოიჩინოს ინიციატივა;

3.2 მოსწავლეს ან/და მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს შეუძლია ინიციატივით მიმართოს სკოლის კლასის კურატორს/დირექციას და ჩაერთოს ინიციატივის განხილვის პროცესში;

3.3 კლასის კურატორი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მოსწავლის ან/და მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივას და მიმართოს სკოლისდირექციას;

3.4 სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე მოსწავლის ან/და მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივების მხარდასაჭერად შესაძლებელია შეიქმნას:

3.4.1 მოსწავლეთა ინიციატივების განხილვისა და განხორციელების მხარდამჭერი ჯგუფი;

3.4.2 მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელების პროცესისა და შედეგების მონტორინგის ჯგუფი;

3.5 მოსწავლეთა ინიციატივების განსახორციელებლად სკოლას შეუძლია ფინანსური რესურსის მობილიზება;

3.6 მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური სამუშაო სივრცის მოწყობასა და საინფორმაციო კამპანიას;

3.7 მოსწავლეთა ინიციატივების განხილვა-განხორციელებისას დაუშვებელია რომელიმე მოსწავლის დისკრიმინაცია ან ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება მოსწავლის უფლება-ვალდებულებების შეზღუდვას;

3.8 კანონმდებლობით დადგენილი წესით სკოლა უფლებამოსილია შეიძინოს და განკარგოს ნებისმიერი რესურსი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელებას;

3.9 ნებისმიერ მოსწავლეს აქვს უფლება ღიად ისაუბროს საკუთარი ინიციატივის შესახებ და

აღნიშნული მექანიზმის საფუძველზე განსახილველად წარადგინოს საკუთარი სამომავლო ხედვა.

3.10 ნებისმიერი მოსწავლე უფლებამოსილია საკუთარი ინციატივის მხარდაჭერისა და განხორციელების მიზნით ითანამშრომლოს სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრთან;

მუხლი 4. პასუხისმგებლობა

4.1 წინამდებარე მექანიზმის სრულად დაცვის მიზნით გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებათ:

4.1.1 მოსწავლეებს;

4.1.2 სკოლის დირექციას;

4.1.3 კლასის კურატორებს;

4.2 აღნიშნულ დოკუმენტში შეტანილმა ნებიმიერმა ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს მოსწავლეთაინიციატივების მხარდაჭერის რაიმე სახით შეზღუდვა.

მუხილი 5. ინიცირების პროცედურა, განხილვის ვადები და პირობები

5.1 სკოლის დირექტორის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მხარდაჭერილი იქნება მოსწავლეთა მაქსიმუმ 5 ინიციატივა;

5.2 შემოსული ინიციატივის განხილვა და გადაწყვეტილების გაცნობა განხორციელდება ინიციატივის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში;

5.3 შემოსული წინადადებების გადაირჩევა წინასწარ შედგენილი კრიტერიუმების მიხედვით?

მუხლი 6. დამტკიცება და ცვლილების შეტანა

6.1 ,,მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერ მექანიზმს“ ამტკიცებს სკოლის დირექტორი შესაბამისიინდივიდუალური სამართლებრივი აქტით;˜

6.2 აღნიშნულ დოკუმენტში ნებისმიერი ცვლილებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია ამავემუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.